ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი



# ყურძენმა სთქვა

ხალხური

თბილისი
1963

784.4 (479.22)

# ყურძენმა სთქვა

ზომიერად ჩაწ. მ. ჩირინაშვილის მიერ.







M 13459-61
2
FM 157
2
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვო

ი 12/695

FM 157
2
ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასოდ

ყურძენმა სთქვა: — მეც ხილი ვარ,
ყველა ხილზე უმჯობესი,
სალხინო და სადუხჭირო, —
ხალხის ხელით დანათესი,

ზამთარში ვარ ხმელი ჯირკი,
გაზაფხულზე ავყვავდები,
და დავისხამ ყურძნის მტევნებს,
დავმწიფდები, დავშაქრდები.

დამკრიფავენ გოგონები,
გადამყრიან საწნახელში,
ტალიკ-ტალიკი ბიჭები
დამაჭერენ ფეხებს ყელში.

დამჭყლეტავენ, დამწურავენ,
ქურში ჩამაჩუხჩუხებენ,
უცეცხლოდ წამოვდუღდები, —
ამომიღებენ, დამლევენ.

ჭკვიანს თავში ჭკვას შეუშლი,
სახეს დავდებ სულ სხვა იერს, —
შემოსძახებს გიჟმაჟურად:
სუფრულს და მრავალჟამიერს.
მრავალჟამიერ!

მუს. რედ. ხ. ნახიძე. ლიტ. რედ. ე. დიდიმამიშვილი.

შეკვეთა № 2370 ფოტოცინკოგრაფია. ტირაჟი 500.